



კვირა, 17 ივლისი, 1916 წ.

ჩემდამის პირველი: თბილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 10 კოპიკი

მეგობრული პატრონები

იუმორისტ.
ჟურნალი

№ 29

ომი და ღვინი კახისა, მოსაწონია კაცისა

F 644



ლ. ი. შილინგ -

თავადი სიკა. ახირებულთა, ღმერთმანი, რატო გადადის ე ჩვენი მამულები უცხოთა ხელში?

თავადი ნიკო. მეც ემაგას არა ვჩივი! განა ჩვენზე უკეთ იციან იმათ ღვინის ფასი?!





საქართველო

თფილისი, 17 ივლისი, 1916 წ.

დედაქაისი როლი მახარბა მლექველიაში

აბობოქრებულმა თანამედროვე მსოფლიო საზღაპრო ომმა ბევრი თავსატეხი და თავსამტერევი კითხვა წამოაყენა.

უმთავრესი მათ შორის უეჭველათ არის დედაქაისი როლი თანამედროვე ვაჭრობა-მლექველობაში. ეს ისეთი დარგია ჩვენი ცხოვრებისა, რომელიც მეტ ყურადღებასა და ფხიზელ თანაგრძნობას ითხოვს. არაგისთვის საიდუმლო აღარ არის, რომ ჩვენი სამრეწველო ცენტრები მუშა ხელისაგან დაიცა-ლა. აბობოქრებულმა თანამედროვე მსოფლიო ომმა პირდაპირ ზღაპრული სახე მიიღო და მრავალი მსხვერპლიც შეიწირა.


ამ ვარეშობამ გამოიწვია საზღაპრო კრიზისები ამა-თუ იმ დარგებში და კერძოთ ვაჭრობა-მრეწველობაში. ზოგიერთ საქონელს ფასიც კი მოემატა, ხოლო დღეს, როცა საერთაშორისო ომისგან ხალხი ისედაც ზღაპრულ ვასკირს უძღვებს, საქონლის გაძვირება, თუნდაც ნახევარი პროცენტით ხალხისათვის მძიმე ასატანია. აუცილებლათ საჭირო იყო ამ ტუპიკიდან გამოსვლა ამა თუ იმ ღონის ძიების საშუალებით. ბევრი კომიტეტები დაარსდა, მაგრამ ამოღ. ბოლოს ისევე მთავრობამ აართვა აღლო გართულეზულ ცხოვრების მსვლელობას და მოსძებნა გამოასახლელო გზა. ეს გზა არის სწორეთ ის, რომელზედაც არა ერთხელ მიუთითებია ჩვენთვის ისტორიას და რომლის შესახებაც ორი აზრის ტარება არ შეიძლება. ეს გზა არის დედა-კაცთა ჩაბმა ვაჭრობა-მლექველობის დაგრებში.

ქალთა უფლებებისათვის ბრძოლას ვრცელი ისტორია აქვს. დიდი ხანია ჩვენი დები და ცოლები ცდილობდენ მამაკაცთა უფლებასთან გათანასწორებას, მაგრამ ამოღ. მხოლოთ დღევანდელმა საზღაპრო ომმა მიიყენა ისინი თავის მიზნის განხორციელებაში.

სასიამოვნოა, რომ სწორეთ მთავრობამ ითავა ეგ საქმე. იგი არა თუ სდგენის, პარიკით კიდევაც აქტეებს მათ მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ დარგში თვით ადმინისტრაციას, რომელიც სულ ახლო წარსულში წინ ელობებოდა დედაკაცთა ამგვარ მიდრეკილებას, დღეს ნაბრძანები აქვს ყოველ მხრივ წააქეზოს და

ხელი შეუწყოს დედაკაცთა მკაცრად მლექვეობის დარგში მოღვაწეობას.

მკითხველმა უკვე იცის, თუ რა დიდი ნაყოფი გამოიღო ამ ცდამ ჩვენს ქალაქში და ამიტომ გულდამწვიდებით შეგვიძლია ვუცადოთ უკეთეს მომავალს.



ქ-ნი ჯვალუ

მტენარი სიცრუეა, თითქო ჩემი სიმპატია უფრო დაბალია და მსუქან მანდილოსანთა მხარეზე იყოს. ერთი მათგანი გინდა რომც შეადგენდეს ჩემი ტრფიალების სავანს, ეგ სრულიადც არ ნიშნავს, თითქო ყველას აღტაცებაში მოვყავდე.

ქ-ნი ჯვალუ, დარწმუნებული ვარ პირველ შეხვედრისათანავე ყველა თქვენგანს მოხიბლავდა, თუკი ბედს აქვეყნთვის მისი ნაცნობობა მოეწიკებოდა. ქ-ნი ჯვალუ არც ახალგაზრდაა, მით უმეტეს არც ლამაზი, მაგრამ საქმარისა მასთან ათითო წელი დარჩეთ, მისი რამოდენიმე რუსულ-ქართული წინადადება მოისმინოთ, რომ სამუდამოთ მიიჯავკოს თქვენი გული და გრძნობა მასზე. დიახ, მე დარწმუნებული ვარ, არ მოიპოება დედამიწის ზურგზე არცერთი სხვა მანდილოსანი, არც მსუქანი და დაბალი, როგორც ქ-ნი ჯვალუ, არც მაღალი და ხმელი, როგორც იგი წინეთ ყოველია, რომელსაც ყველასაგან ცნობილ უბრალო ქეშმარიტებათა ასეთ ფილოსოფიურ ფორმებში ჩამოსხმა შეეძლოს.

მაგრამ ქ-ნი ჯვალუს მე მარტო ფილოსოფიური მუსაიფისათვის დიახაც არ ვაღმერთებ. ჩემი დაუსრულეზელი სიყვარული მან მხოლოდ თავისი გულკეთილობით დაიმსახურა. ოპ, ნეტავი თქვენ განახათ ქ-ნი ჯვალუ, როცა იგი დაბალსა და მრგვალსმრგვალს გვერდით უზის! მისი მსუქანი და მრგვალი სახე თითქმის კიდო-კიდმდე დანაშულია ოფლის გამპვირვალე მარგალიტებით! ზოგჯერ, როცა ქ-ნი ჯვალუს ორივე ხელი „დაზანიატებული“ აქვს, ერთი რომელიმე ბროლის წვეთი მეორეს უერთდ-



ბა, მეორე მესამეს, ისინი შეერთებულის ძალით სხვებს გაიტაცებენ ხოლმე და თორწნსავით მოეღვარე სახეზე პატარა ნაკადული იბადება: იგი სწრაფად იკვლავს გაზს სახის ერთ-ერთ ნაოქის სიღრმეში, გამალღობს ჩამოდის დაწვის ამა თუ იმ მხარეზე და თან ჩამოაქვს აურაცხელი კირი და საღებავი.

— ჩაი ზაფხულში ხოლმე მეტ ოფლს იძლევა! მოსწრებულათ შენიშნავს ქანი ჯვადუ, როცა ოფლის ნიაღერისაგან გატანილ კვალს ცხვირსახოკით შეიშრობს და შეისწორებს.

მოლი და ნუ დაეთანხმები!
ჯერ კიდევ ბევრია იმისი მოწამე, რომ ქანი ჯვადუ, ვიდრე მას ბანი ბეყო შეირთავდა, წერწეტი და მალღობი ქალწული იყო. ცხადია ოჯახის დარღვა და დაულაღვამა შრომამ იქონია შემდეგში ასეთი გავლენა მისი გარეგნული მოახსულობის ცვლილებაზე. მე ეჭვი მარტო მის ადრინდელ სიმაღლეში შემდის და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ამის შესახებ თვით ქან ჯვადუსაგან არაფერი გამოიჩინა.

ქან ჯვადუს ჰიოგიენი ეჯერება ბავშვები და აი, სწორეთ ამიტომ, შვილები არა ჰყავს.

— ღამე გამოგადვიძებს რებონჯა, დღე არ დაძინებებს, ღმერთმა დამიფაროს ასეთი ხათაბალისკანი!

იტყვის ხოლმე ჩემი ღვათება, როცა ლაპარაკი ავშვებზე ჩამოვარდება. ერთი სიტყვით ყველაფერზე ისე მოგიჭირის სიტყვას ქან ჯვადუს რკინის ლოკია, რომ აღამიანს პირში ენა გაგიქვავდება. მიუეღვათ ასეთი კატეგორიული გადაწყვეტილებისა - ჯვადუს მაინც მოსიყვარულე და კეთილი გული ქვს. იგი არც დედობრივ გრძნობას არის მოკლენული. მე ამას სააღალბედოთ დიახაც არ ვლაპარაკობ.

აი, სწორეთ ამ მიზნით იშვილა მან ერთი ღეკი და სამი კატა. არა თუ მარტო ქან ჯვადუსი, უეღლი მისი ოჯახის ყურადღება ამ ოთხი უმანკო ხოველის გარშემო ტრიალებს. ისინი არიან როდრც ქან ჯვადუს, ისე ბ-ნ ბეგოს მშობუნველობის სანი. პატარა „გოგო“, რომლის ნამდვილი სახელი ამ ზეიდსა და წყნარ ოჯახში არავინ არ იცის; ვინაინ ხმარებაში არასოდეს არა ყოფილა, უმთავრედ ამ ოთხი პატარა არსების საკეთილდღეოდ შრომბს და იღწვის.

რამდენად დიდია ქან ჯვადუს გულკეთილობა, დედობრივი გრძნობა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ

საკმარისია „მოფსიკას“ ერთი შეხვედრით, ან „ციცუნისა“ საეჭვო ანაფილიაღმობდეს, რომ ქალბატონის კეთილი გული მძლავრათ ატოკდეს. ეს „ტოკვა“ მხოლოდ პატარა „გოგოს“ არ უყვარს, ვინაიდან ხშირათ ააშკარავებს მის დაუღვევობასა და დედულთადმი უპატიუკემულობას. ხშირათ, ძლიერ ხშირათ საკუთარის ცხვირიდან სისხლის დენით გამოუსყიდია მას თავისი დანაშაული ცხოველთა წინაშე, მაგრამ მის დაუღვევობას ბოლო მაინც არ ეღება.

— უშემდათ ძალით კი მოკვდება, გოგო, შე სასიყვილევე. დღეს საშჯერ მეტათ არ გეშევირა, შენ კი შეგვაპა ჰირბა. შეხედე როგორ მიტქერის ჩემი საყვარელი, ჩემი „მოფსიკა“, ჩემი იმედი. ეხლავე დაუდგი ის ორი კატელეტი მიწაზე, შე დასამიწებელი, შენა. კარგათ დაუფხენი, დღემა არ გაუტირდეს, მაგარი ხორცი იყო, შენი ხორცი კი შექამა ძაღლებმა!

სახაპ-სხუბით დაყარის ხოლმე გულ-კეთილი ქალბატონი, გულქვასა და შეუბრალებელ „გოგოს“.

პატარა „გოგოც“, რასაკვირველია, უსიტყვოთ ასრულებს ყველაფერს. მაგრამ ვაი ამ პირუტყვი ბატონების ბრალი, როცა მათი დედა, ქანი ჯვადუ, საღმე წვაა და მათ ობლათ დაძყრის. მთელი კვირეობით შემონახულ მტრობასა და ჯავრს სწორეთ მაშინ იყრის ხოლმე შეუგნებელი გლეხის „გოგო“, უპატრონოსა და უწყეო ობლებზე. სახლში დაბრუნებისას ქანი ჯვადუ ყველაზე უწინ თავის „შვილებს“ მოიკითხავს ხოლმე, იმათი აღერსით დასტკება, მათ სურვილს დააკმაყოფილებს და შემდეგ იკითხავს ძვირფასი ბეგოს ამბავს. გულის ამახუყებელი სანახავია, როცა ხელში აყვანილი „მოფსიკა“ თავისი „ვარდისფერ“ ენით აულოკავს ხოლმე ოფლით დანამულ სახეს ქან ჯვადუს! ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ ერთი ბავშვით არ მინახავს; ასეთი სიყვარულით ეალერსებოდეს თავის დედას, არა თუ დედინაცვალს.

და „მოფსიკამ“ ჩინებულათ იცის, რომ ქანი ჯვადუ იმისი მკვიდრი დედა არ არის. იცის ეგ ინსტიტუტურათ. როცა მახლობლათ სხვა „უხეირო“ ძაღლი გაირბენს, „მოფსიკა“ მყისვე დაუსტოვებთ ხოლმე ხელდას ქან ჯვადუს, მიატოვებს მის მოსიყვარულე გულს და იმ უჯიშო ძაღლისაკენ მიბრბის. ოჰ, ძაღლებო, ძაღლებო! საშინლათ იტანჯება ასეთ შემთხვევებში დედობრივი გრძნობობირებო ქანი

საქართველოს მხარეები

(შარტი ერთ მოქმედებათ, სტუდენტებთა ცხოვრებიდან)

ჯვალუსი; არც ამაგი, არც სიყვარული, არც ალერსი! ყველაფერი დაიწყებას ეძლევა და მერე ვისზე, უბრალო ძალზე, უშნო, უჯიშო ძალზე იცვლება! მართლაც ბუნებთ ქველმოქმედი უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთმა უმადურობამ გული არ შეუქანოს.

მეთერთმეტე წელიწადია, რაც ქ-ნმა ჯვალუმ თავისი საწოლი მოაშორა ბ-ნ ბეკასს და ოთახის მარცხენა კედელს მიადგა, ფეხის მახლობლათ. საბაბთ ამ განშორებას ერთ ლამინდელი წიხლებით ჩხუბი დაედო, მაგრამ ცხადია, იქნებოდა სხვა მიზეზებიც. ახლა ქ-ნ ჯვალუმ შვიდობიანათ სძინავს თავის ძვირფას აღზრდილთა შორის. ჩვეულებრივით მოუხსენარ „მოფსიკას“ ბინა ტახტის ბოლოზე, ქ-ნ ჯვალუს ფეხებთან აქვს მიჩენილი. „ციკუნია თვალქრელა“ ბალიშის ერთ მხარეზე ხვრინავს; „ციკუნია სპეტაკი“ ბალიშის მეორე მხარეზე, ხოლო „ციკუნია თვალისჩინი“ ქ-ნ ჯვალუმ მკერდზე დაებეჭა, ცვირს კუდილ დაიფარავს და ქ-ნ ჯვალუს ზომიერ სულისთქმაზე არხვინათ ქანაობს ზევით და ქვევით.

განსაკვირვებელი ამ ტკბილ ცხოვრებაში ისაა, რომ პატარები არასოდეს ბოროტათ არ სარგებლობენ ქ-ნ ჯვალუს სტუმართ-მოყვარეობით და არავითარი უსინდისო მოქმედებით მის საწოლს შეურაცხყოფას არ აყენებენ. განა იგივე ითქმის ჩვილ ბავშვებზე? ეს ერთი უპარველეს საბუთთაგანია ქ-ნ ჯვალუს მხარეზე, როცა მუსიკი შელიანებსა და უშვილოებზე ჩამოვარდება ხოლმე.

— უი, ბავშვები! გასწყდეს იმათი სინსილა, ღამეში ათასჯერ დაგასველებენ, სხვას რომ თავი დაეცემა.

მოდო და ებრძოლე ასეთ საბუთებს. სასაბილო სამხადისს ქ-ნი ჯვალუ ყოველთვის თავისი „შვილების“ სურვილს უფარდებს ხოლმე, მაგრამ არც პატარა „გოგოს“ ივიწყებს მისი მოსიყვარულე გული. რამდენჯერ ჩემი თვლით მიწახვას: როცა „მოფსიკას“ და „ციკუნისებს“ დილით რძე გადარჩებოდა, ქ-ნი ჯვალუ პატარა „გოგოს“ ნებას აძლევდა, წარჩენი რძე თავისს ჩაიშო ჩავსხა.

აი ამისთვის მიყვარს მე ქ-ნი ჯვალუ და არა იმიტომ, რომ ის სქელი, დაბალი და მსუქანია.

თემატიკი.

მოკმედი პიკნი:

გორკა,	ვალკო,	ვალენტო,
კაკო,	ვანო,	ვაშა.
გიგო,	მილი,	(სტუდენტ-ცია)
ლალა,	გრიშა,	

მოქმედებას სწარმოებს რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში. გასაფხულაა. სტენა წარმოადგენს მოზრდილ ოთახს, რომელსაც ერთი კარი აქვს, ორი ფანჯარა. ორივე გაღებულია. ოთახში ერთი კამოდაა, ერთი მაგიდა, ოთხი სკამი ორი ტახტი და ერთად ძველი სავარძელი. ნაშუადღევან მაგდასთან სტენას გრიშა, გიგო და ვალენტო. მეტადინეობენ.

ბამოსვლა პიკნილი.

გრიშა. აბა, ძებო, ერთგულად, ხვალ გამოცდა გვაქვ, ერთი წაკითხვა მიინც მოვასწროთ!

ვალენტო. აბა, აბა! ერთი ხვალაც და მერე გუსუსი და გამოუსივი.

გიგო. დაიწყეთ (ვალენტო კითხულობს სტენა ბი არ აკლიან)

გრიშა. გაუშვი.. გადააგდე! სხვაში რაში, რომ მაგაში მოეშადლოთ. მოუშადლებლათაც ვავალი!

ვალკო. ვავალი და ეგრე!.. ცოტა რამ მიინ რომ გგკოდნოდა...

გიგო. კოდნა თუ გინდა, ჩემო ძმაო, „კოსპეტკი“ ვერ გიშველის.

გრიშა. ჩვენ რაღა ვართ, ქვეყანა „კონსტანტინი“ გადის. გაუშვი ერთი!

გიგო. მართლაც სსსაკილოა ჩვენი ეგზამენსულ „კონსტანტინი“ უპასუხებენ და როგორი „კოსპეტკით“ მერე, — კითხვებია შიგ მეთი არაფერი.

გრიშა. ეგ უკეთესია.

ვალენტო. ნაკლები დრო უნდა.

გიგო. ნაკლები უნდა, მარა თავში რომ არ ფერი რჩებო! ამოდენი ხანი აქა ვარ და ჯერ ამ ერთი სავანი დაწერილებით არ შემისწავლია. მარიკული რომ ნახო, იტყვი პირველიაო.

გრიშა. ნუ ფილოსოფოსობ თუ ღმერთი გწამართო ჩვენ ხომ არა ვართ ეგრე. სულ-ყველა ეგრე

ვალენტო. კაკო ღმეტკიებზე მიინც უნდა და ვიარებოდეთ. ჩვენ მოსაკლავები ვართ ღმერთთან



გეფიციები ჯერ პროფესორი ლექციანზე არ სინახავს. (იციანიან)

გრიშა და გიგო ჩვენც... ჩვენც. (იციანიან)

გრიშა. რა ვაინათ, იცი: ერთხელ ს-სო უფლებას ვაბარებდი, პროფესორი თვალით არ შენახა. შეველ აუდიტორიაში. სტუდენტები ირეოდნენ. ერთ გრუფში ამოყვავი თავი და ვეკითხები: ესა და ეს პროფესორი აქ ხომ არ შემოსულა მეთქი. თურმე ნუ იტყვი სახე-ძალი, იქ ყოფილია.—სსსუ... ავერ არის, ვერ ცნობო. შემრტყვა. იმ მუდრეგმა ერთი დაციწვით ვადმომხედა... გაიღიმა, მაგრამ... ეგზამენი მაინც კარგად ჩავაბარე.

ვალენტო მე თანთ პროფესორს შევეკითხე. სტუდენტი მგვინა!..

გიგო. მცე, კაცო ვეც! მაგი კი არა ორი პროფესორი ისე მოგვიკვდა, ვერც ცოცხალი, ვერც მკვდარი ვერ ვნახე (იციანიან). პაუზა. გრიშა საათს დახედავს. ბინდლებს).

გრიშა. ბიჭო, დაღამდა. ვადავთვლიეროთ მაინც, თორემ შევრტყვებით.

გიგო. ნეტავი შენ ეგ „აქურატინი“ არ იყო!

ვალენტო. არა, გიგოჯან, სჯობია... სჯობია. ამბობენ სასტიკი პროფესორიაო. (მოემზადლებია სამეცადინოთ. გრიშა იწყებს. ისმის კაცუნი).

გრიშა. მობრძინდით. (შემოღის გორაკ).

გამოსვლა მირობ.

ყველანი ერთად გორაკს გაუმარჯოს... გორაკს სიკოცხლებ. დაჯექი, დაჯექი. (სკამს მიუღდამენ).

გრიშა. ბალიდან მოდინარ უეკველად.

გორაკ. ეგზამენზე ვიყავი.

ყველანი ერთად. რომელი?...—ეს ჩააბარე?

გორაკ. ჩააბარე, მაგრამ თქვენსავით არ მიბტრეგვია თავი.

გიგო. მესი კი ჩაყავარე მამ თავში. (იციანიან).

გრიშა. რთგორ კთხულობს, სასტიკია?

გორაკ. რა ვიცი ჯერ არივინ გამაუგვდია.

სხვები. ჰაიდა,—ვატკაცო ყოფილა; ვატკაცო!

გიგო. ჩემმა მზემ.

გრიშა. ბეგრს კითხულობს?

გორაკ. არ ვიცი.

გრიშა. მა რა იცი, შე ოხერო, ეგზამენიდან მოდინარი

გიგო. სთქვი რაღა რა გკითხა?

გორაკ. მეთოთხმეტე თავი.

ერთად. ვა!..

გრიშა. ძნელი ბილეთი შეგეცაქვია!

ვალენტო. ძალიან ძნელი.

გიგო. „კონსპეკტი“ სულ არ არის.

გორაკ მათქმეწინეთ რაღა თქვე გიყვებო. გაველ, დაჯექი და ვფიქრობ, თუ რა ვუპასუხო. ეგ სახე ძალილი წაკითხული მაინც მქნონდეს. დაუდგე ყური წინ მოპასუხე სტუდენტებს: ბიჭოს,—ერთი აღთას, მეორე ბალთას! ერთი პარკუნი არ შეიკობის პოეზიაზე ოცნებობს, მეორე ნავით სრიალობაზე ფიქრობს და ისე აშკარათ, რომ სიცილს მგვრიდენ. პროფესორს თავი ჩაეღუნა და ღრმა ფიქრებს მისცემოდა. ბოლოს ნიშანი დაუსვა და გამოუშვა. ამის დამანახავს იმედო მომეცა. ვფიქრებ სიზმარ-რებიითქო და დავიწყე ოცნება წუხანდელ სიზმარ-ზედ. მართლა რა საუცხოვო სიზმარი ვნახე! (ამო-იოხრებს). ვითომ მე და გრიშამ ერთი „სიხორების მწვადი“ გავიცანიით გუშინ. ავითვალთვალეთ, აქედან მოუარეთ, იქიდან, ხან დავევლანეთ, ხან გავცინეთ, შევაქეთ, შევაქეთ და გავცინეთ; გავაცინეთ და გავიცინით. გავიცინით მარა რღდა ნახვ უკეთესს. (ხელებს შლის) ამ სისქეა ჰა. ჯერ ვერ უქალი არ მომწონებია.

გიგო. ჰო ვიცი, ვიცი თ სხუ არ მოგეწონებოდა!

გორაკ. სიყვარული კამეჩია ღმერთმანი! სიტკობების ზაქი. და ვნახათ წუხელ სიზმარში სასიერ-ნათ გაველ! ენახათ წერილი მომანჩესეს. ვაგვხენი და, ღმერთო ჩემო, მისი იყო, ვისი სიმსუქენის სიმხურვალე მწვავდა. დღეს დილით დავწერე კიდევ და აი: (კითხულობს). „თქვენ გორაკ გრტყევათ; ასე გავიგე. რა საუცხოვო სახელი! ჩემს დღეში ასეთი საოცნებო სახელი არ მსმენია. როგორ მსურდა ასეთ სტუდენტთან გასრიალება, გრიშაც ხომ კარგია, ეს უკეთესია, ეს სულ სხუა, იქნებ მისთვის, რომ ეს თქვენა ხართ. თქვენი შავი თვალები!.. მათგან გამოსროლილი ისარი დღესაც გულს მჩხე-ლელტს... ტუჩები, თითქოს აღმოსავლეთის მომსკდარი ბროწეულია!.. შავი დაგრუზული თმა... ნეტა იმ ქალს ვინაც მას ხელს ვაუსვამს!.. თქვენ ქართველი ყოფილხართ, მიტომაც ასე მომხიბლავი, ლამაზი, თქვენი მიხერა-მოხერა, ეს ხომა არაყის ხის სიოზე ქანაობა იყო! ცოტა მრისხანე იყავით გუშინ, ვე-ლურად იხედებოდით და მით უფრო მაჯადოდებდით. ოჰ, როგორ მსურს თქვენი კოცნა. თქვენ გეტყო-

ბათ კეთილი ხართ და იმედი მაქვს ხელ ჩემთან შემოვიღოთ, ასე საღამოს 9 საათზე. ჩემი ქმარი სწორეთ ხუთმეტი წუთის წინ გავა ს—დან სამსახურში. ამ წერილს ჩემი ვაჟი (გემზაზელი) მოგიტანს და თუ ხატარი გაქვთ ნურაფერს ეტყვი. მშვიდობით ღვათებრივო ქართველო. გამაბედნიერეთ და დამატკბეთ თქვენი მზერით. გელით. №... ქუჩა... 3 ბინა. დუსია.“ ამაზე ვოცნებობდი და ეს ქილაღლიც ხელში მექვირა. ბოლო სიტყვებმა ამაღლევა, წარმომიდგა სიზმრის წუთები, ვეღარ მოვითმინე და... ხმა-მალა დავთავე წერილი. პროფესორმა თავი მალა აიღო,—უკაცრავად, თქვენი უკანასკნელი სიტყვები ვერ გავიგონეო. შეგკრთი, დავიბენი, რა მეთქვა აღარ ვიცოდი. უცებ გონს მოვედი, ქილაღლი ჯიბეში ჩავიდე. პრაგრამის უკანასკნელი კითხვა წავიკითხე მეთქი.—ძალიან, ძალიან კარგო. და...

გრიშა. მეტი არაფერი?
 გოგო. მაშ მავთ ვახველი?
 გორკა. აჰა!

ვალენტო. ბრავო, მალოდებ*) ვაქაკი ხარ ვაქაკი!
 გრიშა. პროფესორებიც რომ ჩენნი ყიდის არიან!..

გოგო. (იღებს წიგნს და ისერას).—წაიდი შენი დამწერიც!..
 გრიშა. შორს, შორს, მავის წამკითხველიც შევარცხვინე!

გამოსვლა მისამი.
 (შემოდის საშა).

ვალენტო. (საშას)—კაცო ეგ თვალები დასიებული რათა გაქვს? ხომ არა გცემეს?
 საშა. მეცემს კი არა! ორი ღლეა არ მიძინია. ზელი-ზედ კარტს ვთამაშობდით.
 გოგო. სად, სად? ვი დედასა, სად ვიყავი!
 გორკა. „კრუნნი“ თამაში მაინც იყო?
 საშა. გვარიანი. „ობჩერტიკეში“ ყოველთვის „კრუნნი“ თამაშია, მით უფრო ახლა სწავლისა და ხარჯის ფული ჩამოსული აქვთ. მე ვერაფერი ვიხეირე. ხუთი თუმანი სწავლის ფული დავდე და წამოვედი.

გრიშა. ქართველი იყო ვენეცია?
 საშა. ნახევარი ქართველი ვიყავი.
 გორკა. ჰაიდა!
 ვალენტო. მოიგო ვინმე ჩვენგანში?
 საშა. როგორ არა. უკილაამ 8 თუმანი, დღემაც 30 მანათი და ზოგამ თითო-ორიო მანეთი.
 ვალენტო. ვაქაკები არიან, ვაქაკები. დაჯექი აბა და ისტორია ზუთე.
 გრიშა. ოს რა გემაზე იქეფებდენ?
 გოგო. იქ ხომ არ წასულან... ცნობილ ქუჩაზე?
 საშა. ვათავებისთანავე: აბე პერესიადკი.“
 გორკა. (მოაგონდება) წავიდე, წავიდე იქნებ სიზმარი ცხადთ მექცეს, თორემ თქვენთან ხეირს ვერ ენახავ. (მიდის).
 გრიშა. არ დასცხეთ ვისზე?
 საშა. ისე დავეგვეთ საწყალი რუსები, თავისიანებს ვეღარ ცნობდენ.
 ვალენტო. რაზე იხსუბეთ?
 საშა. არ იცი კაცო მილი რა შარიანია? ოც მანათი წააგო და ოცს დამტვრია თავპირი. (იციწინან. ჩამოვარდება ჩხუბზე ზასის, ყველა თავს იქებს. შემოდის კაკო და ვალიკო).

გამოსვლა მეთხმა.

ვალენტო. რამ დაგწითლათ ქარხლებისავით? კაკო. ვიჩაზებეთ. ვილაცხესა ვცემეთ, მავრას ისე კი რომ... წელს ვეღა წაიღებენ.
 ვალიკო. ქუჩაში ქალებს „სალნი“ სიტყვა გადავკართ. აქო და გამობტო ვილაცა „ჩინონიკი“ დაიწყო ჩიფჩიფი. ეგ აგრე არ უნდა მეთქი და ხაჯსცხე კისერში. მას ვილაც მოეხზარა და აქ კაცულტრიალდა.
 საშა. ხომ არ გამოქცეულხართ?
 კაკო. ჩვენ კი არა და ისინი ვინ იცის ეხლა მირობიან.
 გოგო. ბევრი იყენენ?
 კაკო. ხუთნი.
 ყველანი. ბრავო, მოლოდენს!
 გოგო. ნეტა ერთი კოლაც მოვიდეს მრავალეამიერს დაეყოლებდით.
 გრიშა. არა ძმაო, კოლას ჩვენთვის არა საკლია.
 კაკო. ნეტა რას აკლავს ეს საწყალი თავს?

*) Молодежь-ის მაგიერ სტუდენტობაში შემოიღეს, მალოდებ ან მალოდებ.

უნდა შევისწავლოთ რამე, თორემ ფუქსავატობა არ გვარგია, მეთუბნება გუშინ.

ვალენტო. ლოქოა, ლოქოა ბავშვი! ის კი არ იცის, რომ „იტოგი“ ერთა ვეჟე.

გიგო. და ვალენტო მართალია. „იტოგი“ „იტოგი, „იტოგში“, ჩაუხდით.

კაკო. რაც უნდა ბეგრი იმეცადინოს ჩვენისთანა დიბლომს აიღებს. ჩვენ ეს მზიარულება მიინც შეგვგრჩება. (შემოდინ ვანო, შემდეგ ლადო).

გამოსვლა მესამე.

ვანო. კაცო რა ოხრათ თამაშობს ეს სახე-ძალი კიკილა ბილიარდს! გაკვირვებასა ვარ, ღმერთმანი! ვილაც ფულიანი ჩაუგდია. ჯერ განგებ 10 თუმანი მოაგებია და ახლა 20 დაადვა. დასწყევ-ლა ღმერთმა!

ვალკო. არის ვინმე იქ?

ვანო. ჩვენი ბიჭები ყველანი იქ არიან. უყუ-რებენ (შემოდის ლადო ყურს მოკრავს უკანასკნელ სიტყვებს).

ლადო. უყურე, ჩემო ძმაო, მეც და თვალე-ბი დახსა. კაბიკი არა მაქვს თორემ მეც ვინმეს აუ-გორებდი.

კაკო. რა კარგი, კამპანია! ახლა არაყი, ჩა-დებულე კიტრი, მწვანილი! ოხ შენი ღმერთის კი-რიმე! რას ვიქვიფებდით შენი ღმერთისა! ბიჭო მართლა არაყს გიშოვით ვის გინდთ?

ყველანი ერთად. მე.. მე.. (ვადაწყებენ შეო-რე დღეს ქეიფობას. გამზიარულდებიან)

გრიშა. მაშ ეხლა ლეკური!

ვანო. (წამობტება) — დაუკა.. დაუკა შენი კი-რიმე. (ცეკვავს, შემდეგ გიგო ლადოს გაიწვევს.)

ლადო. (ჩამოუვლის) — გაუსვი.. ტაში.. ტაში!

(სათითოდ ყველა ჩამოუვლის და ტაშს რიგ-რი-გობით უკრავენ. არის ერთი ძიძგინი, ბრაზუნნი. შემოდის დიასახლისი).

გამოსვლა მეთხუთსე

დიასახლისი, გთხოვთ ცოტა ჩუმათ. ქვეშ მცხოვრებთ სძინავთ.

გრიშა. ჩვენ კი გთხოვთ მზიარულებას ნუ გვიშლით.

დიასახლისი. ქუჩაში ჰგონიათ თითქოს აქ ქორ-წილი იყოს. რა იქნება, რომ ცოტა წყნარათ იუ-ვეთ.

გრიშა! გთხოვთ მიბრძანდეთ, თორემ უკაცო-ფილებას გამოიწვევთ და ხვალქნის კლასკო ოთახს. (ოთახის კირა არა აქვთ მიცემული და დიასახლი-სიც მტყუანით გადის. მილი შემოდის)

გიგო. (მის დახახაზე) — აბა „БЫСТРЫ КАКЪ ВОДНЫ“!

მილი არ შემიძლია!

გიგო. ნეტა რა ჩაუტოპავსე!

ვალკო. პილპილი.. პილპილი.

მილი. წუხელ ნაშუადამევს 4 საათზე ბაღში ვიჯექ ერთ ლამაზ „კურსისტკასთან“... მოქანცუ-ლი ვარ. ოხ რა მშენიერი ჩემი სიყვარულის კამ-ბეჩი. ვენერა—ვენერა! ახლა გამოვიღვიძე და ცო-ტა არ იყოს ცუდ გუნებაზედ ვარ.

ვალენტო. შე მუდრეგო ვენერები ჩვენცა გვაყს, მაგრამ ცუდ გუნებაზე კი არ გვაყენებენ. (იმტერიან და მთლად აყრუებენ იქაურზბას).

საშა მართლა, გაიგეთ? სტუდენტის გაწვევა გამოცხადდა.

გრიშა. ღმერთმა უშველოთ!

კაკო. მეც ეგ მინდოდა!

ვალკო. ორი კურსი მიპყავთ, მაშასადამე ვჩენც წაივალთ, რადგან ფაქტურათ მეორე კურს-სზე ვითვლებით.

გიგო. ჰაიდა! ზოგი კირი მარგებელიაო!

ვანო. მრცხენოდა ჩემით წასვლა. ახლა ძალას ვემორჩილებით!

მილი მეც... მეც!

გრიშა. მაშ ჩვენ ყველანი მივდივართ.

მილი. ოხრათ!

კაკო. ხმალი, ხანჯალი, პაგონები, ფული, სუ-ლი და გული. სჯამე თუ შეგიძლია!

გიგო. ხვალაც ვქეიფობთ!

ვალკო. მაშ გაუმარჯოს ქეიფს და პრაპორ ჩიკობას!

ყველანი. გაუმარჯოს... გაუმარჯოს!

(ფარდა ეშვება)

მომზესული.



რამოდენივე ქესტი შან-შორესისა

(ფრანგული ჟურნალიდან)



— ჩვენ უნდა დაგვიწიოს!



— ჩვენი მიზნისკენ!



— მოწინააღმდეგე უნდა განადგურდეს!



— იუდიო!



— ჩვენ გავუყვან!



— სოციალური თანასწორობა!

დროთა გრუნვაში

გამოვეთხოვე ტურფა ვაზაფხულს,
 დროთა მშენების კვლევტ ქალწულსა,
 მიჯნური გული მისი სიშორით
 დღაონებული უპყრია წყლულსა.
 ვევე დროთა ბრუნვას, შეველ ზაფხულში,
 რომლის თანკარა, აღმური მწველი
 სწვეს ვარდს და იას არშიყობითა,
 ზოდვას განიცდის ბალი და ველი,
 მნათობი ტახტზე ცის კენწეროში
 დასჯდა, რომ „ქურში ჩახედოს სწორათ“*)

და სიმრგვლე ცისა,
 მორჩილებს ვისა,

მან შვაზე დგომით გადაჰყო ორათ;
 გამეფდა იგვლივ პაპანაქება,
 შრომის სამეფოს სდის ოფლის ღვარი,
 განცხრომის შეილითა,
 ჭამა—სმა—ძილთა

საშვალემა აქეთ რა მრავალ გვარი,
 არ აცდის ბარათ,—საგარაკთ
 გამოუნახავს მაღლობზე ბინა,
 თუმც მათთვის მშრომელს,
 ოფლი სდის რომელს,

სიმშილ წყურვილი, რომ მოეთმინა
 საკუთარ მარჯვენს ატანდა ძალას
 და ძლივს იხდიდა საყანულ დალას**)

ერთი მხრით ბნელში შრომა მუღმივი,
 მოვიღვება და სიღარიბე;
 მეორე მხარეს ძალა—უფლებით
 ცაზე მიუღვამს ცხოვრების კიბე...

რომელ მათგანში ვარჩიო ყოფნა?
 „ჰა არჩევანიც მადგია კარზე“
 მარა მე ვიცნობ მარტოკა პირველს
 უკანასკნელი ჩემს დასამხარზე
 ჯერ არ ყოფილა, უცხოა ჩემთვის
 და რომ გავიცნა მე ისიც დროზე,

მხოლოდ ამისთვის მივდივარ ხალხსა
 საგარაკო მთა—ბაზმარაზე

მივდივარ, მარა თანაც მიმყობა
 ჩემი ამაღა და ჩემი „სიგითა“,
 თავისთვის „ვერხომ“ და ჩემთვის „უკუხით“
 მთელი გზის გავლა ვინც გადასწყვიტა.
 ბუტუნა.

* * *

ქირში მტერო, ლხინში მეგობარო,
 მო, გეთაყვა, ერთი გავახარო!
 ვახსოვს მე რო წავბორძიკდი, წაიქეცი,
 შენ რო თვალი მომკარ და მყის გაიქეცი!
 ხელი ხო არ მომეც დასახმარებელი
 სიტყვეც რო არ მითხარ გასახარებელი,
 არც კი მომხედე წელანდელ მეგობარს,
 ვისაც მეძახდი საკუთარ სულზე მტებარს!..

ქირში მტერო, მოდი რა ვახარო,
 ლხინში მეგობარო, მოდი გავახარო!
 მე უშნოთ ავდექი, ფეხზე ვარ ახლა,
 ძველი მეგობრობა ვინ არ განაახლა?!
 მოიტა კვლავ ხელი, სიტყვას გკადრებ ალაღს!
 კვლავ მოგებას გაჩვენებ და არა ზარაღს.

ქირში მტერო, ლხინში მეგობარო,
 მომისმინე, იქნებ გავახარო!
 მე რომ იქ მპარხადენ და შენც იქ იყავი,
 თავს რო დაშხაოდა შვი ყორან-ყვაგი;
 საფლაფში რო ჩამდეს სიცილით, ხარხარით,
 ლოდებს რო მაყრიდენ ნიხებუთ და ბართი;
 უჯგროთ რო დაავდეს მათ ჩემი საფლაფი,
 შენც ხო იქ იყავი, ვახსოვს, ხომ იყავი!
 ცრემლი რო არ მოგწყდა თუნდაც ერთი ცვარი
 და თბილი სიტყვა გულშიც არ მითხარი;
 მგონი ერთი ლოდი შენც კი მომიძღვენი,
 ისე... ფეხწამოკვრით, შემომჩნეულათ ქენი...

ლხინში მეგობარო, ქირში მტერო,
 მოდი სასწაულით გავაშტერო!
 მე უშნოთ ავდექი, ფეხზე ვდგევარ ახლა
 ძველი მეგობრობა ვინ არ განაახლა?
 მოიტა კვლავ ხელი, სიტყვას გკადრებ ალაღს!
 მოგებას გაჩვენებ და არა ზარაღს!

*) გურულ ასტრონომია გვასწავლის, რომ შუა ზაფხულის შვალდებულ მზე შვავულ ცაში მოექცევა ისე, რომ ტურში (ჭვევი) პირდაპირ ბსკერში ჩაანათებს, რის შემდეგ დღე კლებულობს თურმე.

**) ღალა—საყანე მიწის ბაგი.

ისევ ძველებურათ შევეფიცოთ ერთმანეთს,
 ნუ დავიტოვებთ უხსენებლათ ხატსა და ღმერთს;
 ღვინოსთან კახურთან (მე რო ფულს ვიხდიდი)
 და შენ კი ზეფურენით ქულს რო მოიხდიდი,
 მოვიფონოთ ის ღრო... შენ რა გენაღვლება,
 წარსული კი ხომ იცი ვაივლის, გაჭრება!
 მოიტა კვლავ ხელი, სიტყვას გკადრებ ალაღს,
 მოგებას გაჩვენებ და არა ზარალს!..

ქირში მტერო, ლხინში მეგობარო,
 ვფიქრობ ამ ნაამბით მაინც გაგახარო...

ეშმაკუნა.

გამოხანა

სიტყვებით ბევრს აბრაზუნებს,
 ქვეყნის მხსენლათ მოაქვს თავი.
 დაფხაკურობს, ფართი-ფურთოებს
 თეთრ კბილს აჩენს—გულთი შავი!
 ენას ისე არ მოიქნევს
 არ შეისევს ვისმე შხამი,
 სხვებს ატყუებს, ყველფებს, სჩაგრაავს
 ბევრჯერ „აუწყანავს“ ქრთამიში..
 მახეს აგებს, ბადეს ქსელავს,
 არ ისვენებს ერთი წამი,
 მსხვერპლის ტანჯვა წამებაში,
 ნაჩვევია, არ თუ ხამი.
 სინათლეს მტრობს, ბნელეთს ეტრფის
 ჯოჯოხეთი უჯობს ედემს,
 სასიკვდილო ისარს ესვრის
 ვინც მისთვის ოფლს არ იმეტებს.


დასანსალობს, როგორც მელა
 ყველგან ძვრება, ბევრსა ჩმახავს
 სურს მოატყუილოს ყველა,
 ვისაც „საწველ ფურად“ ნახავს!

მაგრამ, ნუთუ ფიქრობ ბრიყვო,
 ეს სიმურტლე—სისხლის ხანა,
 ეს კუბრი და უკუნეთი
 დიდხანს გაგიტყდელდეს განა?!
 ერთ დღეს კოკა ხომ გატყდება,
 ყველა ამის დამკრავს ბოლო?

მაშინ... ხომ შენც მოგეზობდა
 ის სასჯელი უსაზომოდ



ალბურიონი.



ლხინის შუაღვა

(ნიმუში თანამედროვე პოეზიისა).

შე აცვივდა...
 ღვინით ყელი ჩისოლა,
 ჩამოიხსნა მანდილი და...
 გაისროლა;
 ფეხს წაიძრო ოქროს ფერი
 ოჩოფება
 და მკერდლია-გულ გასნილი
 დაცალფება,
 ისე ვნებით შეთამაშთა,
 დაუარა,
 რომ ვარსკლავებს ტანში ჟრკოლამ
 დაუარა.

ზეცის გუმბათს მოწყდა მთვარე
 აყლაყუდა,
 წაბუქნა და კაკალ მზის წინ
 დაეყუდა...
 და წრის ირგვლივ გასრიალდა
 ისე ნაზათ,
 რომ ზეფირი გავშლა
 ფიანდაზათ.
 ღრუბლის ჯირკვზე მკადარი სიო
 ლაზღანდარა,
 დაუღვრომელ-ტუტურუმელა
 და ან მასხარა,



საქუანს ხიჭკოი

(ხცენა)

მსწრაფლ წაძობტა, მთვარეს კულზე
 წაეკილა,
 ზედ შეახტა და მზეს ყელზე
 დაეკილა...
 ვარსკლავთ ტაშმა შეარყია
 მთლათ სამყარო,
 და გაისმა, შორს, სიცილი
 სანეტარო...
 და კსკისებს ვარსკლავთ კრება
 და შუქურა,
 ვით წითელი, გაიძვერა
 ნავრის ტურა...
 სიცილისგან მეც დაფლევ
 ვრცელი ხახა
 დავიციანი: ხახა, ხახა
 ხახა, ხახა!

ლ. პოლბიჟენტა.

„კვლეოქმადნი“

(ყურმოკრული საუბარი)

სერგო (ბაზახია) სტეფანე! როო კაცო, შენც ვა-
 მოგართვეს ის რალაც „კრასნიკრესტიანო“ იმისთვის
 ფულები?..

სტეფანე (ღენის ვაჟარია) მაშ არა და შამარ-
 ჩენდენე! წითელი თუმნიანი წაიღეს. ბევრი ვერჩინ-
 ჩე, მაგრამ არა გამოვიდა რა, ხომ იცი ისეთი კა-
 ცი ავროვებდა, რომ იმის წყეენება არ შეიძლებო-
 და, ხომ იცი ჩვენთვისაც გამოსადევი ვინმეა ჰაა!
 შენა?

სერგო მე რალა წითელი კოკი ვარ, ჩემგანაც
 წაიღეს.

სტეფანე (ეშმაკურის ღიმილით) შენც რა შეი-
 ლი ხარ ბრალი შენი მუსტრებისა. ვინ იცის, ვისი
 კისრიდან უნდა ამოვიდე (ღრეკით) რაწამს ფული
 წაიღეს, მე მაშინვე ღენოს ორი ვედრა წყალი
 დავუმატე-ბრალი იმისი ვინც დაღვეს... (იღიმება)
 შენცა-ზოგს ჩითს წაუმატებ, ზოგსაც მიტკალს და
 მუსტრებიდან აინაზლაურებ რალა!

სერგო (ბრძნულად) მაშ არა და მამა უც-
 ხონდებთ იმათი გულისთვის ჩემს სახლებს დავა-
 გირევებ.

ჩჩჩჩილი.

ახლა გაიგეთ, რა სლუჩაი დამემართა? კაცო, თქვენ
 ყველამ კარგად იცით, რალა, მე რომ თიატრში სი-
 არული მიყვარს. იცით რათ მიყვარს? ხანდახან ჩვენ
 ყარაჩოდულუ-კინტუა-ლოთი-ფოთი ბიჭებს წარმო-
 აღგვენ ხოლმე. ჰო და იმ დღეს წავედ „ნაროდნი
 დომ“ში. ბილეთი ავიდე, პაგრამაც ვეყიდე, ბუფე-
 ტშიც ხეირი მივეც, ასე რომ მეც კაი გუნებაზე დაე-
 დექ და სხვებიც კაი გუნებაზე დაფაყენე.. ხალხი
 ბუზივით ტრილიებს, რალა. ზენოკიც დაპრეს და
 შაველით. მე ჩემი ბილეთი ხელში მიპირამს და ვე-
 ძებ, რალა, აღვილს, დეცათ პერვი ნუმერ ვტარიო
 რიად, პრაევი.

ვეძებ, ვეძებ, ვიპოვე კიდეც. ვხედავ, ერთი ვი-
 ლაც ყმაწვილი კაცი, ესევე მოსართავით რალა,—
 კრახმალ გალუსტიე, ვარატნიკით, ჩემს ადგილზე
 დამჯღარა და ზის. მეც მიველ ვებნებ:

— ყმაწვილო, მინავატ, ეს მგონი ჩვენი ადგი-
 ლია! ის ყურს არ მათხოვებს.

— ძმო-ჯან, ბილეთში ფული მიმიცია—ადგი-
 ლი მიყიდნია, შენ კი ჩემი ადგილი ზანიატი გი-
 ქნია? ადე ძმო. ვა! ხმას არ იღებს! ერთი ვავბრა-
 ზდი, ერთი ვავბრაზდი, რომ ჰა!

— კაცო, ადექ რალა, დადალული კაცი ვარ—
 ტრამევიში ადგილი ვერ მიშოვნია. საქმე არა ვაქ!
 არც კი იხედება ჩემსკენ! მეც კიდე ვებნები

— ადექ, ძმო!

ისიც მებნება—შუო ხონიშ!

ჰა, რუსი ყოფილა! ვაჰ! ფვიქრობ. მამა ჩემო,
 რატომ საფლავში არ ვადამბრუნდები, რომ ღენნახი-
 აში არ გამომზარდე და რუსული არ მასწავლე.

ის კიდე მებნევა—შუო ხონიშ—და იციანს,
 გაიგეთ! ერთი მაჯლაჯუნასავით იღრიქება. ვა! გუ-
 ლი მოგდის, გული მომდის, რომ ღამის გადავიგრო
 კაცი, რალა. ის კიდე მომადგა და ერთი რუსული
 დამიწყო, რომ ზალა წაიღო. მეც ავდექ და ისეთი
 ვაქამე ჩემი ცხვრის თავი, რომ თვალგმში ღერმა-
 ნია დავანახვე. ერთი რომ არ ვგავრტყი, ისეთი
 ლაზათიანდ დავიყვრა—ვი დედაო—რომ შენი მო-
 წონებული. ჰა, ვიფიქრე, ჩვენი კაცი ყოფილხარ, და-
 ბრიყვებაც გინდოდა? მაშ, ევრე. ადვდექი და ეს
 ამოდენა ხალხში ისე დაულეწე ცხვირ-პირი, რომ
 ვეღარ აცნობდით, აი! ატყდა ერთი დავი-დარაბა!

ეს პროტოკოლიო, ეს შტრაფიო, ეს „ტურმაო“ და სხვა რამეები.

ზას აქეთ პოლიციას თეატრის კარგეში სპეკი-აღნად ჩემთვის გარადიო უყენიო. რომ არ დამინახავს, თუ თეატრში შესვლა მანდა, ერთი ისეთს დაუშტვენს, რომ მთელი პოლიციის სსსტავი სულ იქ მოიყრის თავსა, არ მიშეგებენ, რალა, თეატრში მერე ვან მიყო ეს საქმე? ოპ, ვალუსტიკიანო, ერთი შენი თავი მაჩვენა კილენ.

ვაგულო.



„სამხსნაგო“ ბანკი

(წერილი ველისციხიდან).

ნამდვილი სახელწოდება გამგეთა:	ვინ რა თანამდებობას ასრულებს:	თვიური ჯამაგირი:
ლარ-ვა შაკა (უბორტფელიო მდივანი)		30 მან.
ტერ-მაგრაკა (თავმჯღომარე)		100 "
მორდხხადა (ხაზინადარი)		60 "
ზედ-არშაკა (გაუგებრობის გამგე)		60 "
ფაშა-შაშა (საქმის უფროსი მწარმოებელი)		80 "
ლილი-პარკიონო (ამის თანაშემწე)		45 "
პაპიროსა (არაფრის მკეთებელი)		40 "
დონ-ალეგინო (უმთავრესი ტეხნიკი)		50 "
აქ-ლაზრინო (უმთავრესი გრამაფონისტი)		25 "
ბებრის ბუღე (პირველი მოსამსახურე)		35 "
და ტიკი-პირო*) (ამის თანაშემწე)		30 "

აი, ბატონო ეშმაკო, თითონ ველისციხის და მასთან შეერთებულ სამი სოფლის დიდებულ ბანკს განაგებენ ზემოერ ჩამოთვლილი თერთმეტი უფროსი გამგე, მაგრამ მათდა შესაბარალებლად ბანკი აჯღოლაღებს მათეე სრულიად უმცირესის სასყიდ-

*) ამ გამგე პირთა სახელწოდება ჩვეულებრივად ზედმეტი ვახლავსთ, მხოლოდ ამაში დანაშაუენი არიან სულის მამები, რადგან ვიღაც ბავშვს მოსანათლად მოამზადებენ, თვითონ უპირველესად გადაულურწეთ ადრევე ემზადებიან და ამისათვის ნამდვილი ნათლარის სახელები აურევთ ხოლმე და სულ თვისებურად უწერენ ასეთ სახელწოდებას მეტრკიკაში.

ლით, ე. ი. სულ თვეში მშრომელთა მთლიანი 555 მანეთი. ამას უნდა მიუმატოთ „მკლამეტელი“ კომიტეტის ჯამაგირი, თვეში ათი თუმანი, სახლის ქირა თვიურად—6 მან. (კაპიეებს ანგარიშში არ ვიღებთ), აქეთ-იქით, გამგეობის თუ სხვა მოსამსახურე პირთა საქმის გამოსიბობთ გასვირ-გამოსვირნება და სხვა და სხვა მოულოდნელი ხარჯები თვეში აუცილებლად შეადგენს 170—180 მან. მაშინ ბანკი მხარჯავს თვეში შუათანად 891 მან., ანუ წლიურად 10,691 მან.

ამის შემდეგ ბანკის დამფუძნებელი წევრები არა მალევენ და სახალხოთ აცხადებენ, რომ ჩვენი ბანკი „მდიდარია“, წარსულ წელს ნაღდი მოგება ჰქონდა 4691 მან. და ჩვენ კი ასეთ საბრალო თავგანწირულ მოსამსახურეებს სიმშლით სულს ვართ მეგეთო!

სწორე მოგახსენოთ, მეც სულითა და გულით ვეთანხმები მათს ასეთს გულ-შემატყვირობას.

ხელიკი.

დეკემბერი
(კან. დაზ.)

ნათელხი. გამანაწილებელ პუნქტის განყოფილებითა ქვემო სართულებში მოთავსებულ „სათრობის დების“ სამორიგო ოთახებს დიდი და თვალსაჩინო ნაკლი აქვს: სათადარიგო კარებს მოკლებულია, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს სტუმრებსმაგ. ერთი მთვანი თავის მორიგეობაზე იძულებული ვახდა ფანჯრიდან გადმოეყვანა სახედრო პირი პირველი დახმარების აღმოსაჩინად. ნაცლებად მადლობისა, უმადლორმა ხალხმა. ათასი „ჟორები“ გაურტყლა, რის გამო და მსამსახური დასტოვა.

იქიდანვე. ლაზარეთში დროებით მოიხსნა სახედრო საალყე წესები, მაგრამ, ამბობენ, მალე დიქტატურაც გამოცხადდებაო.

ონი. ადგილობრივ ინტელიგენციას რალაც ახალი სენი ვაუჩნდა. ნიშნები ასეთია: გონებას ჰყარავს. ფეხები ერევა. თვალში სახლები მოცეკვავით ეჩვენება. უცნაურო სიტყვებს ხმარობს; პირიდან ასაქმებს და ირგებელ ღვინის სუნს აყენებს. ამბობენ ძლიერ შველის მითარბის ყულით ზურგის აცრაო.

სამხი (ლენხუმი). ადგილობრივი სამკითხველოს აივანზე ყოველ დღე იმართება სექცეავო სა-



ლაშა, რომელშიაც ენერგიულ მონაწილეობას იღებენ აქაური „ბარისნები“.

ლაშაშვილი. ადგილობრივ კოაპერატივის ვაჭრებმა ალყა შემოარტყეს. ხელმძღვანელობს ჯარს გენერალი უტიფარშტერისის სანდრო, აბრამიკო, და წალო.

უსახელო ძაღვები. ახლად არჩეულმა მარშალმა, ნიშნად მეორედ არჩევისა ბრძანა ერთი გლეხი წამხდარი სისხლისაგან გაეწმინდათ. დავალება პირნათლად შესრულა სტრაჟნიკმა.

წიწა.

ჩიხატი. ახალთაობა დიდის ენერგიით შეუდგა კარტ-ნარდის შესწავლას, დარიც ხელს უწყობს.

ლაშაშვილი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ აქაური „პოდრიანიკები“ ყოფილან პოდრაჰიკის პომოშნიკის პომოშნიკის რწმუნებულის ნათესავის ნაცნობის ახლო მეგობარი, ამგვარათ საქონელი (შეშა) პირდაპირ ხელიდან ხელში გადადის.

პიანაშვილი.

(ქინას სააკებტადან).

როგორც გალმა უზნიდან ილუყებიან იქ ძალიან მძვინვარებს თურმე ვილაც ილიტე დი მისი მუქარით შეშინებული მეზობლები გიდროლონიით ამირებენ ვადაფერნას, რადგანაც გზაზე არავის უშვებს უბიფათოთ, გამოღმელებიც შიშვეშა ვართ.

მერე კილა.

იქიდანვე.

პერევისის მამასახლისის, მკარას კოვზი ჩაუვარდა ნაცარში. მწერალმა უკვე ზომები მიიღო ამოსაღებათ.

იქიდანვე.

შიშშილობა გათავდა. სიმინდი თვალით დაეინახეთ, თუმცა ხელი არ გვიხლანა ჯერ.

იქიდანვე.

მზე იწვის. ივლიტიმ იწინასწარმეტყველა: მთელი სითბო ამზაფხულია გამოცოვა და მერე გაცივდებაო.

ქიჩინა.

ბუბუნას საბამნაძო.

ქაქეთიდან ბ—ნი „მზიფავი“ იუწყება, რომ მამა კომოატეს კურთხევა (რომელიც ეხლა მოხდა) ფოთში არსებულ სასულიერო გაუგებრობით მომხდარა.

მზიფავი სიხარულის გამჟღავნებით, გამოდა მოითხოვს ცოდვთა ჩამდენი ჩვენს განკარგულეობაში ვადმოვიდესო.

ბ—ნი „თვალთმაქცა“ იტყობინება: 19 ვაგონი შაქარი, რომელიც კოაპერატივის განკარგულებაში იყო 15 ვაგონი სპარსეთში ყოფილა, 1 ვაგონი ალავერდიში, ხოლო 3 ვაგონით დაკმაყოფილებულა კოაპერატივის გამგეობა.

ბ—ნი „გულთმისანი“ იტყობინება 1—ი წინასწარმეტყველობის ხსენებული შაქარი ისე გაშწარდება ახლო მომავალში, რომ ზოგ „საპატია“ პირს შაქარი სამუდამოთ შესძულდებაო.


ქ—ნი „როკავი“ აპარატ „ლიაცით“ იტყობინება, რომ მან დაამთავრა ბ—ნ გერზევისის „გორნინის“ დაზიანების გამოძიება და მომავალში გამოაქვეყნებს.

მთავარი სადგური ვაჭრებობინებს: რკინის გზის მუშები სადგურის უფროსისაგან „კეთილი მოპყრობით“ რადენიმე დღით „დასვენებას“ ამირებენო, რისთვისაც ბ—ნი უფროსი მუშებს „რასჩოტით“ დაჯილდოებას უშზადებსო.

ნაბათაში მგზავრათ ჩამოსულ მეურმეს „გულკეთილმა“ მიინძღობა კამეჩები ისეთ ადგილზე გაუდენა „სამოვრათ“, რომ ერთი კვირის განმავლობაში ვეღარ იპოვებს. მიინძღობს ეს ბოროტმა ენებმა „სხვაფერ“ ჩამოართვეს, რისთვისაც გაფაფრებულმა მიინძღობა მეზობლებს ომი აუტება ასეთ „ცილის წამებისთვის“, კამეჩები ერთი კვირის შემდეგ მიინძღობს ახლოს ნახეს „შუალამეზე. მიინძღობს ამბობს „წმინდა ილირი“*) მოიყვანდაო.

გაიხსნა სწკულიატორთა კანტორა სადაც ერთი და იგივე საქონელი ნ.ჯერ ვაიყიდება, მსურველთ შეუძლიან მიმართონ შემდეგი მისამართით: „როპიტ“ მოსამსახურეთა ბიურო—„თანხმობა.“

*) წმიდა ილირი ცნობილი ხატია სამურზაყანოში, რომელიც ილორობა დღეს ზღვიდან საწირავ ხარს გამოაცურებს ძველი ვაჭრობის მიხედვით.



„უკმაკის მათრახის“ შარშანდელ ნომრებში დაიბეჭდა სცენები

„სოფლის ფერმალი“.

ავტორი აღნიშნული სცენებისა უძორნილესად სოსოეს საზოგადოებას:

მის ნება დაუთოველად ნუ ინებებენ აღნიშნული ნაწარმოების სცენასე დადგმას.

დაკლებულ ფასებში

თითქვის მუხტად!

კ ა ს წ ა გ ლ ი: კონჩინკას, ბაქარას,
ვერტუშკას, ოთუსბირს,
დურახკას.

უკანასკნელ თაბაზს უძღვნივანით.

იქვე ვასწავლი ლანდოვა-გინეზას ეველას ენებზე

კურსს დამთავრების შემდეგ გაშოყდელთ იღებენ

„ზვირთის“ რედაქციაში.

მიკითხეთ რკინის გზის მთავარ სასელონოში მალა-

დი (ახმასი), თვალეებ-ბრიალა და გრძელ-კისერა —კ—ი.

თანამედროვე სიუჟარული

(მიხატვა).

ჩემი ცოლი ლამაზია, —
 როგორც ია გაზაფხულის!
 მისი ხმა და მისი ღიმი
 სიამეა ჩემის გულის.

აკი მიყვარს გავიგებთ,
 გულს ვიხუტებ ხოლმე მიგრათ,
 მაგრამ უფრო შევიყვარებ
 რო გაღიქცეს დიდ თავ შაქრათ.

ჩრჩილი

რკინის გზის მთავარ სახელმწიფოსთვის



დედა. კარგი, გაჟმდით შვილებო, ნუ გეშინინათ, მამა-
 თქვენია. ან კი საიდან უნდა იცნობდეთ დიდის ხუთ საათზე
 მიღის სამუშაოთ და ღამის თორმეტზე ბრუნდება სახელოსნო-
 დან.